

ოქმი № 3

ქ. მარნეული

24.08.2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: კენან ომაროვი /მერი /

სხდომის მდივანი: ლარისა გელაშვილი /ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

**სხდომას ესწრებოდნენ:** როინ დეკანოიძე/მერის პირველი მოადგილე/, ვუგარ მამედოვი /საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/, დავით ხარშილაძე / ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ/, დავით მუმლაძე/ ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ.შ/, ილია ყალაბეგაშვილი /ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი/, გიორგი მეურმიშვილი / ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი /.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა; /მომხს.ვ.მამედოვი/

**მოისმინეს:**

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა წარმოადგინა 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის , (სადაც გათვალისწინებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ N 04-03/64697, 14/07/2022 წერილით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მოწოდებული 2022-2025 წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები, კერძოდ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის, საშუალო წლიური ინფლაციის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ), ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ბაზაზე დაყრდნობით შემუშავებული 2023-2026 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტი.

**სიტყვით გამოვიდნენ:**

მერმა, კენან ომაროვმა აღნიშნა, რომ 2023-2026 წლების ბიუჯეტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა იქნება ბაზა საბიუჯეტო პროცესის შემდგომი ეტაპებისათვის და დაავალა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს იმოქმედოს სრულ კოორდინაციაში მერიის სამსახურებთან და საბიუჯეტო დაწესებულებებთან, რათა დადგენილ ვადებში მომზადდეს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

**აზრი გამოთქვას:**

სამუშაო ჯგუფის წევრებმა გამოხატეს მზაობა იმოქმედონ შეთანხმებულად საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს მათ დაქვემდებარებაში არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების/ლონისძიებების ზღვრული მოცულობები და ხარჯთაღრიცხვების დაზუსტების შემთხვევაში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები წარმოადგინონ გონივრულ ვადებში

ბიუჯეტის პროექტის წარდგენამდე ერთი თვის ადრე, რათა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ჰქონდეს ვადა შენიშვნების გათვალისწინებისა და 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახვად.

**დაადგინეს:** მოწონებულ იქნას მარნეულის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და მუნიციპალიტეტის სამსახურებმა გააგრძელონ მუშაობა საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარე:



კენან ომაროვი

სხდომის მდივანი:



ლარისა გელაშვილი

სხდომის დამსწრები:

მერის პირველი მოადგილე



როინ დეკანოიძე


საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის  
უფროსი

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის განვითარების

სამსახურის უფროსის მ.შ



გუგარ მამედოვი



დავით მუმლაძე

ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის,  
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი



ილია ყალაბეგაშვილი

ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური  
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.



დავით ხარშილაძე

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის,  
სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის  
სამსახურის უფროსი



გიორგი მურშიშვილი